2-4016/20
06-03-2020

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საქართველოს პარლამენტის ბიუროს N327/1, 18.02.2020 გადაწყვეტილებით, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს განსახილველად გადმოეცა საქართველოს პარლამენტის წევრების რატი იონათამიშვილის, სოფიო კილაძის, ანრი ოხანაშვილის, გურამ მაჭარაშვილის, ირაკლი მეზურნიშვილის, დავით მათიკაშვილისა და ცოტნე ზურაბიანის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტი „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ (№07-3/433; 12.02.2020).

აღნიშნული პროექტი სავალდებულო დასკვნისთვის გადაეცა აგრეთვე საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს.

საკანონმდებლო ინიციატივის განხილვის ვადა წამყვანი კომიტეტისთვის განსაზღვრულია 2020 წლის 24 მარტამდე, ხოლო სავალდებულო კომიტეტისთვის - 2020 წლის 10 მარტამდე.

მიმდინარე წლის 06 მარტს მოგვმართა საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა, რომელმაც ითხოვა მითითებული საკანონმდებლო ინიციატივის განხილვის ვადის გაგრძელება 3 კვირით, რადგან საჭიროა ცალკეული საკითხების დაზუსტება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოგმართავთ შუამდგომლობით დასახელებული საკანონმდებლო ინიციატივის განხილვის ვადების **3 კვირით** გაგრძელების თაობაზე.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
სოფიო კილაძე